საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაღრაძე ვახტანგ არჩილის ძე

მაღრაძე ვახტანგ არჩილის ძე (დ. 6. II. 1951, ბორჯომი), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2004). სწავლობდა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტზე (1968–73). 1973-იდან მუშაობა დაიწყო არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინ-ტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1984–2002 იყო ამავე ინ-ტის სწავლული მდივანი, კადრების მომზადებისა და ასპირანტურის განყ-ბის ხელმძღვ., 2003-იდან – ქართ. მეტყველების კულტ. განყ-ბის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 2014-იდან – სტუ-ის მიწვეული პროფესორი. მ. ავტორია მონოგრაფიებისა: „ქართველური ჰიდრონიმები“ (2004), „ქართველური გვარებისა და ტოპონიმების წარმოება და მათი ურთიერთმიმართება“ (2006).